

**საქართველოს კანონი**

**„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13 (20), 1999 წელი) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან – გენერალურ პროკურორთან (შემდგომში – საქართველოს იუსტიციის მინისტრი) შეთანხმებით. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სახელმწიფო ორგანოები (მათი სტრუქტურული ერთეულები) განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-19 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

**მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*